განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26 მარტი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის დოქტორი (06)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი გეგენავა სულხან-საბა ორბელიანის სასაწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტს მოიცავს, აქედან 60 ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 - სადოქტორო ნაშრომს (დისერტაციას). პროგრამა ხორციელდება 2009 წლიდან, აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. 10 წლის განმავლობაში სადოქტორო ნაშრომი დაიცვა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა 2 ადამიანს. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 56 დოქტორანტი, რომელთაგან 11 აქტიური სტატუსი მქონეა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 21 თებერვალს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, კავკასიის უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან მოწოდებულ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, უნივერსიტეტი იყო ღია თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის სადოქტორო პროგრამას მნიშვნელოვანი დახვეწა სჭირდება, როგორც შინაარსობრივად, ისე მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრით, მნიშვნელოვანი ხარვეზებია აკადემიური პერსონალისა და ადამიანური რესურსის კვლევითი კომპეტენციების თვალსაზრისით, რაც გადამწყვეტია სადოქტორო პროგრამისთვის. ასევე, პრობლემებია ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების მიმართულებით.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის განხორციელებისას გააზრებულ უნდა იქნეს სამართლის სადოქტორო პროგრამის ფუნქციური მნიშვნელობა, მისი მიზნები და მათი მიზეზშედეგობრივი კავშირი სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციეელების პოლიტიკასთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა დაახლოვოს პროგრამის მიზნები და პროგრამის განხორციელების პრაქტიკა ისე, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამა არა უბრალოდ პრესტიჟად, არამედ რეალური შედეგების, საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში პრაქტიკული წვლილის შემტანად აღიქმებოდეს.
  - პროგრამის სწავლის შედეგები უნდა დაზუსტდეს, მოერგოს ქართულ სამართლებრივ სინამდვილეს, ბაზრის საჭიროებებს, ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ თითოეული შედეგი იყოს გაზომვადი, მიღწევადი და გადამოწმებადი. ამასთან, უნდა შემუშავდეს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კონკრეტული წესი და საშუალება, რომელიც შესაძლებელს გახდის, შემოწმდეს, რამდენად წარმატებით მიაღწია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს დოქტორანტმა.
  - „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ - საგანთა თემატიკისა და შინაარსის დუბლირების გამო, აღნიშნული საგნები უნდა გაერთიანდეს.

- „სამართლის ფილოსოფიის“ შინაარსი უნდა დაიხვეწოს, ნაცვლად ფორმალურ საკითხზე ორიენტირებისა, უნდა მოიცავდეს თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სამართლის ფილოსოფიას, რომელიც დოქტორანტს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის, კრიტიკული აზროვნების, სიღრმისეული ანალიზის უნარებს და ღირებულებებს გამოუმუშავებს.
- „სამეცნიერო წერის კულტურის“, „სამართლებრივი კვლევის მეთოდებისა“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდების გაღრმავების“ სილაბუსების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ საგნებმა ერთი და იგივე უნარები არ გამოუმუშავოს დოქტორანტს, ასევე შესძინოს სიღრმისეული ცოდნა.
- დოქტორანტთა ხელმძღვანელობისთვის უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, რომლებიც ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას კონკრეტულ კვლევასთან მიმართებით. მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის საკმარისად. აუცილებელია თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოს დოქტორანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები უნდა იკვლევდნენ, ჰქონდეს უახლესი კვლევები და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას, რათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს. ამ მიმართულებით აუცილებელია პერსონალის წახალისება და შესაბამისი პირობების შეთავაზება/დადგენა.
- სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა უნდა გაიზარდოს, რათა პროპორციულად დაიფაროს სტუდენტთა რაოდენობა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის საჭიროება. ამასთან, სადისერტაციო საბჭოს წევრებისთვის უნდა დადგინდეს კვლევითი აქტივობების მოთხოვნის მაღალი სტანდარტი.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აფილირების ერთიანი სტანდარტი, დაადგინოს აფილირების პირობები განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის მიმართულებით.
- მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსნალის ავტობიოგრაფიების (CV) და პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის თარგმნა და გაახლება. კერძოდ, საჭიროა ისინი იყოს ქართულ ენაზე.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო იურიდიულ სამეცნიერო ბაზებთან (მაგ., Heinonline, Lexis-Nexis და ა.შ.) წვდომა.
- აუცილებელია უნივერსიტეტსა და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეს ავტორიზებული წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ სრულ რესურსებზე.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლურობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.
- რეკომენდებულია, 2017 წელს განხორციელებული განმავითარებელი შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები.

- რეკომენდებულია, პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებული დასკვნა.
- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორციელდა.
- რეკომენდებულია, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია სილაბუსებში მიეთითოს ყველაზე თანამედროვე მასალა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. გამოცემების ნაწილის შემთხვევაში არსებობს მათი უახლესი გამოცემები, რაც სილაბუსებში ასახული არაა.
  - სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.
  - სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი შინაარსის საგნები, რომლებიც დოქტორანტს უშუალოდ გამოუმუშავებს მომავალში საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისა და სამომავლო საქმიანობის წარმატებით წარმართვის უნარებს (მაგალითად, მეცნიერების/განათლების მენეჯმენტი, სილაბუსისა და კურიკულუმის შემუშავება და მსგ.)
  - მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს ავტობიოგრაფიების ერთიანის ფორმა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები მეტნაკლებად დეტალურადაა ჩამოყალიბებული, ისინი როგორც ზოგადაბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ მიზნებადაა ფორმულირებული. პროგრამა მიზნად ისახავს სამართლის სფეროში მკვლევართა და პროფესორთა ახალი თაობის მომზადებას, ორიენტირებულია პრობლემათა სიღრმისეულ ანალიზზე, ასევე, მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნასა და მის დანერგვაში ხელშეწყობას, ღირებულებებზე ორიენტირებული, დემოკრატიული ფასეულობების მქონე სპეციალისტების მომზადებას და ამ გზით, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში ხელშეწყობას. პროგრამის მიზნებიდან და პროგრამის განხორციელების პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნები გააზრებული უნდა იქნეს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილი შეტანის მიმართულებით, რათა მიზნებიდან გამომდინარე შედეგები იყოს თვლადი, მიღწევადი, შეფასებადი და გაზომვადი. უნივერსიტეტს ბოლომდე არა აქვს გააზრებული სამართლის სადოქტორო პროგრამის დანიშნულება და იდეა, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სამართალში სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკის, პრიორიტეტულობისა დოქტორანტურის იდეური გააზრების ნაკლებობა. ამ მიმართლებით, აუცილებელია სადოქტორო პროგრამით დასახული მიზნებისა და უნივერსიტეტის მენეჯმენტი მხრიდან პროგრამის პრაქტიკული იმპლემენტაციის რეალური მიზნების თანხვედრის საჭიროება. აუცილებელია, უნივერსიტეტმა სიღრმისეულად გაიაზროს სამართლის სადოქტორო

პროგრამის განხორციელების არსი, იდეა, მიზნები და ამის შედეგად დაისახოს უშუალოდ პროგრამის მიზნებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ პროგრამის განხორციელებისას გააზრებულ უნდა იქნეს სამართლის სადოქტორო პროგრამის ფუნქციური მნიშვნელობა, მისი მიზნები და მათი მიზეზშედეგობრივი კავშირი სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციეელების პოლიტიკასთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა დაახლოვოს პროგრამის მიზნები და პროგრამის განხორციელების პრაქტიკა ისე, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამა არა უბრალოდ პრესტიჟად, არამედ რეალური შედეგების, საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში პრაქტიკული წვლილის შემტანად აღიქმებოდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გაწერილი და მოცემულია სწავლის შედეგები, ისინი დავიწროებული და ჩაშლილია დარგობრივი კომპტენციების მიხედვით. სწავლის შედეგები იმდენად მოცულობითია, რომ ფიზიკურად შეუძლებელია დოქტორანტმა პროგრამის გავლის შედეგად ამას მიაღწიოს. აკრედიტაციის სტანდარტით, ლოგიკური და ადეკვატურია 6-7 ძირითადი შედეგის ქონა, რომელიც იქნება შეფასებადი და გადამოწმებადი, რაც მთავარია მიღწევადი. არაა აუცილებელია ნარატიულად, ბევრი შედეგის ჩამოწერა და ახსნა, მნიშვნელოვანია ადეკვატური, მიზეზ-შედეგობრივად მიზნებთან უშუალოდ დაკავშირებული შედეგების დასახვა, შემდეგ კი დადგომა.

სწავლის შედეგების შემუშავებისას აუცილებელია ჩაერთონ დამსაქმებლები და შრომის ბაზრის ძირითადი მოთამაშეები, რომლებიც ადგენენ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია. სამწუხაროდ, არც სხვა უნივერსიტეტები, ასევე, ის დაწესებულებები, რომლებშიც უშუალოდ დოქტორის აკადემიური ხარისხი მოითხოვება ან მიზანშეწონილია, რომ მსგავსი ხარისხი ჰქონდეთ პირებს, პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არ იყვნენ. ამის გამოა სწორედ შედეგების დიდი ნაწილი ზოგადაბსტრაქტული, სასურველ-შესაძლებელზე გათვლილი და არა მორგებული სინამდვილეზე.

ფაქტობრივად არ არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც რეალურ, გაზომვად და მიღწევად შედეგებს შეაფასებდა, განსაზღვრავდა, რამდენად შეძლო დოქტორანტმა დარგობრივი კომპეტენციების მიღება და ათვისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგები უნდა დაზუსტდეს, მოერგოს ქართულ სამართლებრივ სინამდვილეს, ბაზრის საჭიროებებს, ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ თითოეული შედეგი იყოს გაზომვადი, მიღწევადი და გადამოწმებადი.

ამასთან, უნდა შემუშავდეს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კონკრეტული წესი და საშუალება, რომელიც შესაძლებელს გახდის, შემოწმდეს, რამდენად წარმატებით მიაღწია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს დოქტორანტმა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამის დოკუმენტით და სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს (დეტალურად განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (CSL) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით). სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (ვებ-გვერდზე). სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით უცხო ენების შესაბამის დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდება შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნია უცხოეთში (ინგლისურ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სადოქოტორო პროგრამებზე რიცხულ, სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს, ასევე დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა რომ სამართლის სკოლში მაღალია რიცხვი იმ დოქტორანტებისა, ვისაც გარკვეული წლების განმავლობაში დოქტორანტის სტატუსი შეჩერებული აქვს ძირითადად იმ მიზეზით რომ ბევრი მათგანი სხვადასხვა სფეროში პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა და საკმარის დროს ვერ უთმობს დოქტორანტურაში სწავლას. ასევე გამოიკვეთა, რომ სამართლის სკოლის დოქტორანტურაში მიღების მაჩვენებელი მაღალია, თუმცა დიდი ნაწილი ბოლომდე ვერ ასრულებს სადოქტორო პროგრამის კომპონენტებს და მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს დოქტორის სტატუსის მოპოვებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლოს პროცესის შესახებ უნივერსიტეტის შიდა მოწესრიგება და აქტები ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, პირველი წელი 60 ECTS, მეორე წელი და მესამე წელი 120 ECTS კრედიტი. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 20-20 კალენდარულ კვირას. შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მიმართულების ხელმძღვანელთან, დოქტორანტურის კოორდინატორთან და ა.შ.), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის (სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თემის აქტუალურობის დასაბუთება, გადასაჭრელი ამოცანების ჩამოყალიბება თეორიული და/ან ემპირიული კვლევა, ასისტირება, რეცენზირების და ა.შ) განკუთვნილ დროს.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:
ა. სამართლებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო)– 5 ECTS კრედიტი;
ბ. სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის (არჩევითი)– 5 ECTS კრედიტი;
გ. სამართლის ფილოსოფია(არჩევითი) – 5 ECTS კრედიტი;
დ. სწავლების ინოვაციური მეთოდები (სავალდებულო) – 5 ECTS კრედიტი;
ე. პროფესორის ასისტენტობა (არჩევითი) – 5 ECTS კრედიტი;
ვ. სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება (არჩევითი)– 5 ECTS კრედიტი;
ზ. ორი თემატური სემინარი (სავალდებულო)- 40 (20+20) ECTS კრედიტი.

სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის მომზადებას და დაცვას ანუ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას და საჯარო პრეზენტაციას (120 კრედიტი) სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე. ამასთან სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა, სასწავლო კომპონენტის ამოწურვა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობიდან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 ECTS კრედიტი - კვლევით კომპონენტს. სასწავლო წლის განმავლობაში დასაშვებია 60-ზე უფრო მეტი ან ნაკლები კრედიტების დაგროვება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსით სწავლას აგრძელებდეს არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

კურიკულუმი არ მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც უშუალოდ გამოუმუშავებენ დოქტორანტს კვლევისა და სამომავლო საქმიანობისთვის

აუცილებელ კომპეტენციებს, როგორებიცაა: მეცნიერების/განათლების მენეჯმენტი, სილაბუსებისა და კურიკულუმის შედგენის მეთოდიკა და ა.შ.

კურიკულუმში მოცემული რამდენიმე სასწავლო დისციპლინის შინაარსი ფაქტობრივად არა მხოლოდ მსგავსი, არამედ იდენტურია. „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ ურთიერთგადამფარავი შინაარსისაა. უმჯობესი იქნება ამ დისციპლინების გაერთიანება და უფრო დიდი მოცულობის საგნის სახით ჩამოყალიბება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- „სამართლებრივი კვლევის მეთოდები“, „სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება“ - საგანთა თემატიკისა და შინაარსის დუბლირების გამო, აღნიშნული საგნები უნდა გაერთიანდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი შინაარსის საგნები, რომლებიც დოქტორანტს უშუალოდ გამოუმუშავებს მომავალში საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისა და სამომავლო საქმიანობის წარმატებით წარმართვის უნარებს (მაგალითად, მეცნიერების/განათლების მენეჯმენტი, სილაბუსისა და კურიკულუმის შემუშავება და მსგ.)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

სავალდებულო

- ✓ სამართლებრივი კვლევის მეთოდები – 5 ECTS კრედიტი;
- ✓ სწავლების ინოვაციური მეთოდები – 5 ECTS კრედიტი;
- ✓ ორი თემატური სემინარი - 40 (20+20) ECTS კრედიტი.

არჩევითი

- ✓ სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის – 5 ECTS კრედიტი;
- ✓ სამართლის ფილოსოფია – 5 ECTS კრედიტი;
- ✓ პროფესორის ასისტენტობა – 5 ECTS კრედიტი;
- ✓ სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გაღრმავება – 5 ECTS კრედიტი.

სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა მეტწილად უზრუნველყოფს საგნის შესწავლისას სტუდენტისათვის საკმარისი საწყისი მასალის მიწოდებას სწავლის შედეგების მიღწევისათვის. სასურველია სილაბუსებში მიეთითოს ყველაზე თანამედროვე ლიტერატურა, ასევე, ქართულ ენაზე სათანადო მასალების არარსებობის შემთხვევაში, სასწავლო კურსთან ნაწილში მიეთითოს პროგრამის დაშვების წინაპირობად მოცემულ ინგლისურ ენაზე თანამედროვე ლიტერატურა და მასალა.

სტუდენტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია საერთაშორისოდ რეფერირებად ჟურნალში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ნასრომებს აქვეყნებენ როგორც საქართველოში (მაგალითად, დასახელდა ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“), ისე საზრვარგარეთ და სტუდენტებმა ზირიტადად დაასახელეს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტების სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები, სადაც ისინი აგზავნიან სამეცნიერო სტატიებს გამოსაქვეყნებლად. პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში მოცემული სასწავლო კურსების ნაწილი ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევასა და დადგენას. „სამართლის ფილოსოფიის“ სასწავლო კურსი ძირითადად მოიცავს სამართლის ფილოსოფიის ფორმალურ საკითხებს და არაა ორიენტირებული ღირებულებით და კომპეტენციურ ნაწილზე, ასევე, „სამეცნიერო წერის კულტურის“, „სამართლებრივი კვლევის მეთოდებისა“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდების გაღრმავების“ სილაბუსებში მოცემული შინაარსი, სასწავლო მასალა და თემატიკა ურთიერთგადამფარავია, რაც ხელს შეუშლის დოქტორანტის მიერ იმ სათანადო უნარების გამომუშავებას, რაც სადოქტორო პროგრამის შედეგად უნდა მიიღოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: • „სამართლის ფილოსოფიის“ შინაარსი უნდა დაიხვეწოს, ნაცვლად ფორმალურ საკითხზე ორიენტირებისა, უნდა მოიცავდეს თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სამართლის ფილოსოფიას, რომელიც დოქტორანტს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის, კრიტიკული აზროვნების, სიღრმისეული ანალიზის უნარებს და ღირებულებებს გამოუმუშავებს. • „სამეცნიერო წერის კულტურის“, „სამართლებრივი კვლევის მეთოდებისა“ და „სამართლებრივი კვლევის მეთოდების გაღრმავების“ სილაბუსების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ საგნებმა ერთი და იგივე უნარები არ გამოუმუშავოს დოქტორანტს, ასევე შესძინოს სიღრმისეული ცოდნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სილაბუსებში მიეთითოს ყველაზე თანამედროვე მასალა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. გამოცემების ნაწილის შემთხვევაში არსებობს მათი უახლესი გამოცემები, რაც სილაბუსებში ასახული არაა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შეიქმნა კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი. ადმინისტრაციის განმარტებით დეპარტამენტი დაგეგმავს, განახორციელებს და კოორდინაციას გაუწევს კავკასიის უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის უნივერსიტეტის ცენტრალური სტრუქტურა და იგი მოემსახურება არა მხოლოდ სამართლის სკოლას, არამედ ყველა სხვა სკოლების კვლევით საქმიანობას. პროგრამა მოიცავს სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიისა და სწავლებისათვის აუცილებელის უნარჩვევების გამომუშავებისავის აუცილებელ სასწავლო კომპონენტებს.

სტუდენტს საშუალება ეძლევა დამატებითი არჩევითი კურსის მეშვეობით გაიღრმავოს ზემოაღნიშნული ერთი ან მეორე კომპონენტში გამომუშავებული უნარჩვევები. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტოტრანტის მიერ სასემინარო ნაშრომის შესრულებას, რაც ხელს უწყობს დოქტორანტებისათვის სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებას. თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან გამოიკვეთა რომ დოქტორანტები საკმარის დროს ვერ უთმობენ სასემინარო ნაშრომების შესრულებას რადგან პრაქტიკული საქმიანობით არიან დაკავებული. ამასთან გამოიკვეთა რომ სასემინარო ნაშრომების შესრულება და დაცვა ფაქტიურად ხშირ შემთხვევაში ხდება ისევ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და არ ხდება ოფიციალურად სასემინარო სემინარის თემის გამოცხადება საჯაროდ და ნაშრომის შესრულება სხვა პროფესორთან სამეცნიერო ინტერესების შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია და ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ სამართლის პროგრამის ფარგლებში დაწყებულია სამეცნიერო პროექტის - ქართული სასამართლო პრაქტიკის კვლევის - განხორციელება. პროექტი საშუალებას აძლევს დოქტორანტს ერთი ან რამდენიმე ქვედარგის ხელმძღვანელის ზედამხედველობით, სისტემური მიდგომის საფუძველზე იმუშაოს ემპირიულ მასალაზე, მოიძიოს აქტუალური პრეცედენტები, დაამუშავოს ისინი და მოამზადოს სხვადასხვა ფორმით შემდგომი პუბლიკაციისათვის. აღნიშნული პროექტის შედეგი იქნება პუბლიკაციის მომზადება. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას სხვა კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც ითვალისწინებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციას. მაგალითად, სამართლის სკოლის დოქტორანტები აქტიურად მონაწილეობდნენ და უცხო ენაზე მოხსენებებით წარსდგნენ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ იქნა ორგანიზებული 2011-2012 წლებში, ქ. თბილისში. 2013 წელს 4 დოქტორანტი მონაწილეობდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფენეციაში. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა რომ სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში საუნივერსიტეტო დონეზე და სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებენ ძირითადად საუნივერსიტეტო შრომების კრებულებში. სამართლის სკოლას თავისი სამეცნიერო გამოცემა არ გააჩნია. სამართლის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები

○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის მიხედვით, დოქტორანტთან საქმიანობა ატარებს მკვეთრად სპეციფიკურ ხასიათს გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან და კვლევის ინტერესებიდან. ინტერვიუების დროს ზოგიერთმა დოქტორანტმა აღნიშნა, რომ რადგან ისინი პრაქტიკაში მუშაობენ, მათთვის სასურველია ისეთ სამეცნიერო ხელმძღვანელთან მუშაობა, რომელიც პრაქტიკული გამოცდილება აქვს, თუმცა ამავე დროს დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევები. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის,

წერითი მუშაობის, დემონსტრირების,, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. დოქტორანტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: სასემინარო ნაშრომის პრეზენტაცია; დისკუსია; დამოუკიდებლი მუშაობა; იურიდიულ ლიტერატურაზე მუშაობა; კონსულტაციები; ტესტებზე და კაზუსებზე მუშაობა; შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება და შეფასება; დისკუსია/დებატები; ელექტრონული სწავლება (E-learning). პროგრამისა და სილაბუსების მიხედვით პროფესორი შეიძლება იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები ასახულია სამართლის სადოქტორო პროგრამასა და სილაბუსებში. პროგრამის მიხედვით სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის მინიმუმ 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

ლექტორი უფლებამოსილია შუალედურ და დასკვნით შეფასებებს განსხვავებული მოთხოვენები დაუწეროს რაც აისახება შესაბის სილაბუსში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სადოქტორო სწავლების დებულებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სადოქტორო სწავლების დებულებაში.

სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

(FX) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;

(F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ შეფასება იქნა „არადამაკმაყოფილებელი'' (41-50 ქულა - insufficienter) ან სრულიად „არადამაკმაყოფილებელი" (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone). დისერტაციის შეფასება ხორციელდება კოლეგიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს განსაზღვარავს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავსირებით შესაბამისი ინფორმაცია განტავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, სკოლის დეკანატისგან, სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურისაგან, ხარისხის მართვის დეპარტამენტისაგან და უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელშიც სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსის ხელმძღვანელების საკონტაქტო ინფორმაციას და სხვ.

„კავკასიის უნივერსიტეტის დებულების“ თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გულისხმიერად მოექცეს სტუდენტის პრობლემებს, დაეხმაროს მას შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, გამოყოს დრო და ადგილი სტუდენტებთან კონსულტაციებისათვის საგნის შესწავლასთან, კვლევითი სამუშაოს ჩატარებასთან ან პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით.

სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია მიიღონ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, სილაბუსში მითითებულ სპეციალურად გამოყოფილ დროს. პერსონალი სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზითაც.

ამასთან კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს არაერთი სპეციალური სტრუქტურული ერთეულიც.

პროგრამის სტუდენტს მათთვის მოსახერხებელ დროს შესაძლებლობა აქვთ საჭირო ინფორმაცია მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელზეც რეაგირებას ახდენს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა რგოლებიც, მაგალითად სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი.

კავკასიის უნივერსიტეტში თავის უფლებამოსილებებს ახორციელებენ სტუდენტთა მომსახურების მენეჯერი, სტუდენტების მომსახურების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი, რომლებიც ახორციელებენ კონსულტირებას და სხვა სახის მხარდაჭერას.

ამგვარად უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ხელმძღვანელთან კომუნიკაციასა და ხელმძღვანელის მხრიდან აუცილებელი მხარდაჭერის მიღებას. ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის განმარტებით დოქტორანტების ხელმძღვანელები რეგულარულად არიან ჩართული კონსულტირების პროცესში. კომუნიკაციის სამეცნიერო ხელმძღვანელთან დოქტორანტი კომუნიკაციია ხორციელდება ინდივიდუალურ რეჟიმში, ასევე ელ-ფოსტის, სოციალური ქსელების, სატალეფონო და პირადი კონსულტაციების საშუალებით.

აღსანიშნავია ასევე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარების მხარდაჭერის საკითხში, რაშიც აქტიური როლი აქვს კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახურს.

ინტერვიურების დროს, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც მოიცავს თანამშორმლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სტუდენტთა სტაჟირების, პრაქტიკის და დასაქმების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2018 წლის 27 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული **„კავკასიის სამართლის სკოლის დებულება“;**
- კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბაზრის კვლევის დამდასტურებელი დოკუმენტი, 2018 წელი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები და მრავალი რგოლი სადაც სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია.
- განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ომბუდსმენის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას, კონსულტირებას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავაკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამაში ჩართულია სათანადო განათლების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლებით. აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ზოგიერთი დოკუმენტი, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელის ავტობიოგრაფია მხოლოდ უცხოურ (ინგლისურ) ენაზეა. პროგრამაში ჩართული პერსონალის პირად საქმეებში ასევე გვხვდება არაერთი დოკუმენტი (დიპლომები, სერთიფიკატები), რომლებიც მხოლოდ უცხო ენაზეა. უცხო ენის ცოდნიდან გამომდინარე,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის დოკუმენტის ენა არ წარმოადგენდა დაბრკოლებას სრულყოფილად შეესწავლა მასალები. თუმცა, მიზანშეწონილია კავკასიის უნივერსიტატმა გაითვალისწინოს ხარისხის კონტროლის გარე მექანიზმის წარმოების ენა და რეზიუმეები და სხვა დოკუმენტები უნივერსიტეტში ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე.

კავკასიის უნივერსიტეტში დოქტორანტისათვის ხელმძღვანელის დანიშნის საკითხი დარეგულირებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების თანახმად, დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი. სამეცნიერო ხელმძღვნელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. დოქტორანტს შეიძლება ყავდეს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები). ამასთან, ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების თანამშრომელი, თუ კავკასიის უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება.

სამართლის სკოლაში არის აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემთა ბაზა.

კავკასიის უნივერსიტეტს შესაბამის დოკუმენტებში დეკლარირებული აქვს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე - ფინანსურად წაახალიხებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნას.

მიუხედავად კავკასიის უნივერსიტეტის ზემოაღნიშნული მიდგომისა, უნივერსიტეტის პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი ნაკლებად აქტიურები არიან სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებითა და სპეციალური, სამეცნიერო კვლევების შესახებ დოკუმენტით ირკვევა, რომ სადოქტორო პროგრამის გახორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნაწილს 2013 წლის შემდეგ არ განუხორციელებია სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები.

შესაძლოა ამ შემთხვევაშიც სახეზე იყოს ავტობიოგრაფიების განახლების პრობლემა. მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

სასურველია აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა საჭიროების შემთხვევაში მან უფრო სრულყოფილად შეძლოს დოქტორანტებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა არამხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დაცვაში, ასევე სხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სამართლის სადოქტორო პროგრამაზე 34 სტუდენტი ჩაირიცხა. ამჟამად აქტიური სტატუსი მხოლოდ 11 სტუდენტს აქვს. შესაბამისად პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხულ სტუდენტების დაახლოებით 67 პროცენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დოქტორანტების სტატუსის შეჩერების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის მათი დატვირთული სამუშაო გრაფიკი. დოქტორანტების პასიურობა შესაძლებელია კავშირში იყოს თავად აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობაში დაბალ აქტივობასთან. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კავკასიის უნივერსიტეტმა მიზანშეწონილია აქტიურად იმუშაოს სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა მუშაობის წახალისების, მათი სტატუსის აღდგენის და სამეცნიერო აქტივოებების წახალისების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სადოქტორო პროგრამა ○ კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ○ პეროსნალის ავტობიოგრაფიები ○ ინტერვიუირების შედეგები ○ სადოქტორო ნაშრომები ○ დაცული სადოქტორო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით
რეკომენდაციები: ○ დოქტორანტთა ხელმძღვანელობისთვის უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორები, რომლებიც ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას კონკრეტულ კვლევასთან მიმართებით. მათი პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის საკმარისად. აუცილებელია თითოეულ მათგანს თანამედროვე კვლევებით უდასტურდებოს დოქტორანტის კვლევის სფეროს მიმართ მიზეზობრივი კავშირი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პროფესორების, როგორც უშუალოდ აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების, რომლებიც დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ, სამეცნიერო საქმიანობა არაა დამაკმაყოფილებელი. პროფესორთა და ლექტორთა ნაწილს საერთოდ არ უკვლევია ბოლო ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში (ზოგიერთს 10 და 17 წლის განმავლობაშიც კი), რაც დოქტორანტურის ფარგლებისთვის ყველაზე კრიტიკულია, ვინაიდან პროფესორი ხელმძღვანელობს დოქტორანტს კვლევის მიმართულებით, იგი უნდა ფლობდეს სათანადო უნარებს, ჰქონდეს თანამედროვე ცოდნა და რაც მთავარია, უნდა ჰქმნიდეს თანამედროვე სამართლებრივ აკადემიურ პროდუქციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონალის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) რადიკალურად განსვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივრსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება კავკასიის უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ 13 პროფესორია. დოქტორანტთა ხელმძღვანელობის ძირითადი რესურსი მოწვეული ლექტორებია. სადისერტაციო საბჭოს მინიმალური შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მით უმეტეს იმ დროს, როცა სადოქტორო პროგრამა სტუდენტების მიღებას სამართლის ყველა ფუძემდებლური მიმართულებით ახორციელებს, რაც ავტომატურად მოიაზრებს სადისერტაციო საბჭოს საკმარისი რესუსრის საჭიროებას. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო საბჭოს წევრებმა უნდა შეძლონ და დოქტორანტთა კვლევითი საჭიროებების ძირითადი ნაწილის დაკმაყოფილება შეძლონ.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს პროგრამას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სრულიად საკმარისია და ფარავს სადოქტორო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

უნივერსიტეტს ჰყავს აფილირებული პროფესორები, თუმცა არ გააჩნია აფილირების ერთიანი ხედვა, სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავების პროცესშია და არაა დამტკიცებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები
- კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 26 ნოემბრის #-1/-1=43 ბრძანება „კავკასიის სამარტლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს განახლებული შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები უნდა იკვლევდნენ, ჰქონდეს უახლესი კვლევები და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას, რათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს. ამ მიმართულებით აუცილებელია პერსონალის წახალისება და შესაბამისი პირობების შეთავაზება/დადგენა. • სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა უნდა გაიზარდოს, რათა პროპორციულად დაიფაროს სტუდენტთა რაოდენობა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის საჭიროება. ამასთან, სადისერტაციო საბჭოს წევრებისთვის უნდა დადგინდეს კვლევითი აქტივობების მოთხოვნის მაღალი სტანდარტი. • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აფილირების ერთიანი სტანდარტი, დაადგინოს აფილირების პირობები განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის მიმართულებით. • მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსნალის ავტობიოგრაფიების (CV) და პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის თარგმნა და გაახლება. კერძოდ, საჭიროა ისინი იყოს ქართულ ენაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავდეს ავტობიოგრაფიების ერთიანის ფორმა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში ყურადღება ექცევა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებას. უნივერსიტეტის ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, როგორც ERASMUS +-ის ფარგლებში, ისე ცდილობს წაახალისოს მათი პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება პლაგიატთან დაკავშირებით. პროგრამის აკადემიური რესურსის პროფესიული განვითარების დასტურად მიიჩნევა: ლექტორთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან; კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების ყოველწლიური კრებულისთვის მასალების სავალდებულო წესით მომზადება; საჯარო ლექციები; მეთოდოლოგიური სემინარები; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინებების დაფინანსება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისკენ მიმართული ტრენინგების ორგანიზება და სხვა. მისასალმებელია უნივერისტეტის მიერ შიდა კვლევითი გრანტების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს, იკვლიონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნამდვილად შთამბეჭდავია, აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, რეკრეაციული სივრცე, იმიტირებული პროცესების დარბაზი და ა.შ. აკმაყოფილებს ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ძალზე კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის, რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია არასტანდარტულად, არათემატურად და დალაგებულია მათი უნივერსიტეტში მიღების მიხედვით და არა უნივერსალური აღრიცხვის კოდის (UDC-უაკ) მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მკვლევრის, დოქტორანტის მიერ სასურველი ლიტერატურისა თუ მასალი მოძიებას უშუალოდ წიგნად ფონდში.

2009 წლიდან დღემდე, 10 წლის განმავლობაში არ იყო უზრუნველყოფილი და არც ახლაა ექსკლუზიურად იურიდიული ელექტრონული ბაზები, რომელთა საშუალებითაც დოქტორანტები შეძლებდნენ მასალების მოძიებას, უცხოენოვან ლიტერატურაზე ექნებოდათ წვდომა. ვიზიტის მსვლელობისას წარმოდგენილ იქნა მემორანდუმი

რომლითაც ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ და შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ ითანამშრომლებენ და ერთმანეთის ელექტორნულ-მატერიალურ რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფენ. აღნიშნულის ფარგლებში ივარაუდება Heinonline.org - ბაზაზე წვდომაც, თუმცა კონკრეტულად ამის თაობაზე მემორანდუმში აღნიშნული არაა, ასევე, დოკუმენტში არაა მოცემული სამეცნიერო ბაზის დეტალები, გამოყენების პირობები, მომხმარებლის ანგარიშთა რაოდენობები და.შ. ვიზიტის განხორციელებისას აღნიშნული ბაზებით სარგებლობა უზრუნველყოფილი არ იყო. ამასთან, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე სხვა უნივერსიტეტის მიერ წვდომის უზრუნველყოფა და მისი გაზიარება ვერ იქნება სადოქტორო პროგრამის სტუდენტისთვის კვლევის რაციონალურად და ჯეროვნად შესრულების წინაპირობა. უნივერსიტეტი ნერგავს ანტიპლაგიატის სისტემა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რაც მისასალმებელია და წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ მიმართულებით რამდენიმე პროფესორი გადამზადდა და მიწეოდათ ინფორმაცია Turnitin – ის ბაზის გამოყენების თაობაზე. სამწუხაროდ, ანტიპლაგიატის ელექტრონული მექანიზმებით დოქტორანტურის 10 წლიანი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი აქტიურად არ სარგებლობდა, რაზეც დაცული თემატური სასემინარო ნაშრომების ხარისხი მიუთითებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე ○ შპს „კავკასიის უნივერსიტეტსა“ და ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს“ შორის 2019 წლის 14 იანვარს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ○ შპს „კავკასიის უნივერსიტეტისა“ და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის შეთანხმება 2017-2961/001-001
რეკომენდაციები: • უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო იურიდიულ სამეცნიერო ბაზებთან (მაგ., Heinonline, Lexis-Nexis და ა.შ.) წვდომა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგდეს და განთავსდეს უნივერსალური აღრიცხვის კოდების (UDC) მიხედვით, რათა დოქტორანტებს გაუმარტივდეთ წიგნების მოძიება თემატურად უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო პროგრამა თვითკმარია და საჭიროებისამებრ დაგეგმვის შემთხვევაში, თუკი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი საკმარისი რაოდენობით ეყოლება პროგრამას, იგი მოგებაზეც იქნება ორიენტირებული.

საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი მზადაა, პროგრამას ფინანსურად დაეხმაროს და უზრუნველყოს მისი გამართული და შეუფერხებელი არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				√

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება.

1. თვითშეფასების ანგარიშში განმარტებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი პარადიგმა მატ შორის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლი, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ბუნდოვანია რატომ ენიჭება უპირატესობა აღნიშნული ციკლის იმ ნაწილს, რომელიც შემოწმებას ეხება, რამდენდაც ოთხდონოვანი წრიული ციკლურობა ლოგიკური ეტაპებით არის დაკავშირებული და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია სწორი პროცესის უზრუნველსაყოფად.

2. ხარისხის უზრუნველყოფა სამართლის სკოლის დონეზე უპირატესად კონცენტრირებულია მენეჯერების დონეზე, რომლის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი. იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის ბოლოს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის მომენტიდან მიმდინარე სააკრედიტაციო ვიზიტის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ორჯერ შეიცვალა და იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის ბოლოსათვის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ახალი დანიშნული იყო, პროცესის სწორ ფუნქციონირებას დადებით კონტექსტს არ სძენს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმოდგენა ინტერვიუირებისას ვერ მოხერხდა, რადგან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მსგავსად, საქვეუწყებო სამსახურის თანამშრომლებთა ძირითადი ნაწილი ასევე განახლებულია. შესაბამისად, ინტერვიურს დროს შეუძლებელი აღმოჩნდა იმ პირებთან უშუალოდ გასაუბრება (ერთი

გამონაკლისის გარდა), რომლებიც სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მომზადებაში ხარისხის სამსახურის მხრიდან იყვნენ ჩართულნი. შესაბამისად, რთულია იმის დადასტურება, რომ თუ რამდენად ხდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შემავალი პირების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობა. ბუნებრივია, აღნიშნული არ და ვერ შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს. 3. პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ითვალისწინებს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, თუმცა, ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ძალიან სუსტად არის ინტეგრირებული. აღშანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გამოკითხვები ჩატარებულია, თუმცა მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიება თანდართულ დოკუმენტებში ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. • ინტერვიუირება. • ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, კერძოდ, გამოკითხვები და შედეგები.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ხარისხის უზრუნველყოფის რეალური ციკლურობა აჩვენოს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის განვითარება-დახვეწა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების კუთხით მნიშვნელოვანია 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგები და მისი ადაპტაცია პროგრამის განვითარების მხრივ. როგორც თვითშეფასებიდან იკვეთება, განმავითარებელი გარე შეფასების შედეგების ნაწილი ასახულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში, ხოლო გარკვეული ნაწილების ასახვა იგეგმება სამომავლოდ. სასურველია, გარე ხარისხის შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ინტერვიუზე წარმოდგენილ წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებულ დასკვნას არ იცნობდნენ.

საინტერესოა გარე ხარისხის შეფასების დროს საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის პროცესი, რომელიც თვითშეფასებაში ნახსენებია, თუმცა ინტერვიუირებითა და თვითშეფასებას თანდართული დოკუმენტებით ის არ დასტურდება. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება განმავითარებელი ვიზიტის ეტაპი, რომელშიც ცენტრის მხრიდან იყვნენ ჩართულნი უცხოელი ექსპერტები.

და ბოლოს, მნიშვნელოვანი იქნებოდა და უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გარე ხარისხის შეფასების ის შედეგები, რომელიც 2014 წლის აკრედიტაციის პროცესის დასრულების შედეგად დაიდო, რადგან ის, ქართული რეალობისათვის, გარე ხარისხის კონტროლის უმთავრესი პროგრამული მექანიზმია. შედეგად, უკეთესად გამოჩნდებოდა პროცესი განვითარების ჭრილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუირება • პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფის ოქმები.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია, 2017 წელს განხორციელებული განმავითარებელი შეფასების ის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ აისახა პროგრამაში განმარტებული ყოფილიყო თვითშეფასების დოკუმენტში ფართოდ, დასახულიყო ის პრობლემები/მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ან რის გამოც ხელი შეეშალა პროგრამაში სათანადო ცვლილების ასახვას, ხოლო ამის შემდეგ დასახულიყო/ნაჩვენები ყოფილიყო მისი რეალური გათვალისწინების პროცესი და ვადები. ▪ რეკომენდებულია, პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების ჯგუფს გაანალიზებული ჰქონდეს აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად დადებული დასკვნა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ დარგის განვითარების , შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამა განიცდის ცვლილებას. შრომის ბაზრისა და განათლების ბაზრის კვლევა მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის პერსპექტივების განსაზღვრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგი თან ერთვის გამოგზავნილ დოკუმენტაციას, დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან არ გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების, მონიტორინგისა თუ განვითარების პროცესში ჩართულობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოწვეული ლექტორები ნაკლებად არიან ან არ არიან ჩართულნი პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში. ანალოგიური მდგომარეობაა კურსდამთავრებულებთან მიმართებით, რომლებსაც კურსდამთავრებულთა კითხვარის შესახებ არ ჰქონდათ ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირების შედეგად
პროგრამის მონიტორინგის კუთხით თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც, მაგალითად, მოცემული სამიზნე ნიშნულები, თუმცა, მხოლოდ სამიზნე ნიშნული მისი გამოთვლის ათვლის წერტილის გარეშე ისევე არაფრის მთქმელია, როგორც ცალკე აღებული ციფრი თუ რიცხვი. სასურველია, სამიზნე ნიშნულის აღება გარკვეულ წინარე კვლევას დაეფუძნოს, რაც შექმნის მყარ საფუძველს დასახული მიზნის მიღწევისა და მიღწეული შედეგის კონტროლისათვის.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება სემესტრულად, რომლის შედეგებსაც სამართლის სკოლა განიხილავს.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დადარება ხდება უცხოურ პროგრამებთან, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას. თუმცა, არც თვითშეფასების ანგარისის მტკიცებულებებში და არც ინტერვიუირებისას აღნიშნული პროცესის ნამდვილობა ვერ დადასტურდა განხორციელებული ანალიზის შედეგების წარმოუდგენლობის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

• ინტერვიუირება
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აისახოს ის ფაქტობრივი მდგომარეობა და პროცესი, რაც ინსტიტუციის მხრიდან სააკრედიტაციოდ დოკუმენტაციის მომზადების პროცესში რეალურად განხორციელდა. ▪ რეკომენდებულია, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად და რეალურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მინიმუმ მონიტორინგის პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის		√		

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				√
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დიმიტრი გეგენავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი მახარობლიშვილი

მალხაზ ნაკაშიძე

ილია წიკლაური